საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-10/70

ქ. ბათუმი 24 ივნისი, 2022 წ.

ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე, 43-ე, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66[1]-ე და 70-ე მუხლების, ბსუ-ს შინაგანაწესის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის N07-01/33 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ივნისის N01-10/67 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს **ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესი განთავსდეს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე/საინფორმაციო დაფაზე, ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე (ბიბლიოთეკის ველში).
3. **,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების** შესახებ“ <u>ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 25 თებერვლის N01-11/16 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.</u>
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ,,სტრუქტურული ერთეულები“; ,,უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იაკინთე ჩხარტიშვილი

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2022 წლის 24 ივნისის N01-10/70 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ") საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის რეგულაციას (ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი, საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა, ბიბლიოთეკის მომხმარებლის უფლება-მოვალეობები, მომხმარებლის პასუხისმგებლობა).
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს კანონის ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ", ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი

1. ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (ე.წ. მთავარი ბიბლიოთეკა) <u>საერთო კოორდინაციას უწევს</u> ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების: ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის, ასევე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბიბლიოთეკო რესურსების მართვაზე (სარგებლობის ადმინისტრირებაზე) პასუხისმგებელი პირის საქმიანობას.
2. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის მისამართია - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35 (ბსუ-ს N1 კორპუსი, მე-3 სართული), ხოლო ბიბლიოთეკების განყოფილებების საბიბლიოთეკო რესურსის ნაწილი და სხვა სტრუქტურული ერთეულების საბიბლიოთეკო რესურსი განთავსებულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სარგებლობაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), მათ შორის:
   ა) ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის საბიბლიოთეკო რესურსი - ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, გრიშაშვილის ქ. N5, კორპუსი N5;

   ბ) ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საბიბლიოთეკო რესურსი - ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე კორპუსი N3;

   გ) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბიბლიოთეკო რესურსი - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12, კორპუსი N4;

   დ) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბიბლიოთეკო რესურსი - ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15, ბსუ-ს N6 კორპუსი.

3. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად, შემდეგი განრიგით:

ა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში, 9:00 საათიდან 20:00 საათამდე; შაბათს - 9:00 საათიდან 17:00 საათამდე - **ყველა სამკითხველო დარბაზი** (სააბონემენტო მომსახურება);

ბ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში, 9:00 საათიდან 18:00 საათამდე - **კომპიუტერული დარბაზები** (ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N 35/32, N51 და N400 აუდიტორიები);

გ) კვირას 10:00 საათიდან 15:00 საათამდე - მხოლოდ **დიდი სამკითხველო დარბაზი** (ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N 35/32, მე-3 სართული).

4. ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების: ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის, ასევე **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბიბლიოთეკო რესურსები** ხელმისაწვდომია ყოველდღე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, 9:00 საათიდან 18:00 საათამდე (შესვენება – 13:00 საათიდან 14:00 საათამდე).

მუხლი 3. ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობა

1. ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (შემდეგში - ბიბლიოთეკა) პასუხისმგებელია უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო რესურსების თანაბარ პირობებში ხელმისაწვდომობაზე ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და პერსონალისათვის.
2. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისა და უცხოელი სტუმრებისათვის, ხოლო ბიბლიოთეკის აბონემენტით თანაბარ პირობებში სარგებლობა შეუძლიათ ბსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს და პერსონალს (შემდეგში - მომხმარებლები).
3. ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, კარტოგრაფიული და საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ.); ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები).
4. ბსუ-ს პერსონალს, სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს და მსმენელს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკით, სამკითხველო და კომპიუტერულ დარბაზებში, ელექტრონული რესურსებითა და ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეულის ბიბლიოთეკიდან გარკვეული ვადით გატანის უფლებით (ე. წ. აბონემენტით მომსახურება).
5. ბიბლიოთეკაში არსებული კოლექციებისა და წიგნადი ფონდის შესახებ ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე ხელნაწერი საკატალოგე სისტემების საშუალებით.

6. ბსუ-ს სამკითხველო დარბაზში წიგნადი ფონდითა და ნოუთბუკით სარგებლობისთვის აუცილებელია მკითხველმა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა და გაიაროს რეგისტრაცია.
7. ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების: ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის, ასევე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბიბლიოთეკო რესურსების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი პროფილის ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესების დაცვაზე ზედამხედველობას, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის/სასწავლო პროცესის საჭიროების შესაბამისად საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობისათვის თანამშრომლობენ ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის პერსონალთან.
8. ბსუ-ს რომელიმე სტრუქტურული ერთეულში არსებული საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა თუკი სურს ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულ აბონენტს, ამ ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილება დროებითი სარგებლობისთვის გამოითხოვს მას ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან, საკმარისი რაოდენობის ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, შედგება სათანადო აქტი და მთავარი ბიბლიოთეკა გასცემს მას შესაბამის აბონემენტზე.
9. ბიბლიოთეკიდან აბონემენტით მომსახურებისას არ გაიცემა:
   ა) რარიტეტი;
   ბ) წიგნი, რომლის მხოლოდ ერთი ან ორი ეგზემპლარი ინახება ბიბლიოთეკაში;
   გ) პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი);
   დ) 1921 წლამდე გამოცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტები;
   ე) აუდიო, ვიდეო, კინო, ფოტო, ფონოდოკუმენტები;
   ვ) ენციკლოპედიები;
   ზ) ლექსიკონები;
   თ) სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

მუხლი 4. მკითხველის (მომხმარებლის) რეგისტრაცია

1. პირს, რომელსაც სურს ისარგებლოს ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსით, უნდა გაიაროს რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს:

   ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

   ბ) ბსუ-ში შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ასლი (ბსუ-ს სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შემთხვევაში);

   გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, შრომითი ურთიერთობის ვადის მითითებით (ბსუ-ს დასაქმებულის შემთხვევაში);

   დ) ინფორმაცია საცხოვრებელი მისამართის (ფაქტობრივი და იურიდიული), საკონტაქტო ტელეფონის/მობილური ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ;

2. ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულ მომხმარებელს ენიჭება საიდენტიფიკაციო **კოდი და იქმნება ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებლის ბარათი.**
3. რეგისტრაციის დასრულებამდე ბიბლიოთეკის მომხმარებელი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

მუხლი 5. მკითხველის (მომხმარებლის) უფლებები და ვალდებულები

1. ბიბლიოთეკის მკითხველს (მომხმარებელს) უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით, ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, მიიღოს სრული ინფორმაცია და კონსულტაცია ინფორმაციის პირველადი წყაროების მოძიების, ფონდების, ფაქტოგრაფიული მონაცემების დაზუსტების საკითხებზე, ჩაატაროს საცნობო-ბიბლიოგრაფიული ძიება ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებით (კატალოგი, კარტოთეკა, ელექტრონული რესურსი, ფონდი);

ბ) გამოიწეროს ერთდროულად არაუმეტეს **5 საბიბლიოთეკო** ერთეული;

გ) საბიბლიოთეკო მასალა მიიღოს გამოწერიდან **არაუგვიანეს 1 სთ-ში** (თუკი მასალა გამოსათხოვია სხვა სტრუქტურული ერთეულიდან - უნდა მიიღოს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა);

დ) გადაიღოს ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული მასალის ასლები, რომლის გადაღების უფლებას განსაზღვრავს ბიბლიოთეკაში დასაქმებული/უფლებამოსილი პირი;

ე) მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წინადადებებით მიმართოს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას.

2. **ბიბლიოთეკის მკითხველი ვალდებულია:**

ა) დაიცვას ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ვალდებულია გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, დაიცვას სიჩუმე, წესრიგი, საზოგადოებრივი ქცევისა და ჰიგიენური ნორმები, თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც შეაწუხებს სხვა მკითხველს და ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

ბ) წიგნის, სხვა საბიბლიოთეკო დოკუმენტის ან კომპიუტერული ტექნიკის მიღებისას გულდასმით დაათვალიეროს, დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს (წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ მასალაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მკითხველს, რომელმაც ბოლოს ისარგებლა აღნიშნული მასალით);

გ) გაუფრთხილდეს მასზე გაცემულ მასალას, არ დააზიანოს, არ ჩაკეცოს ფურცლები, არ გააკეთოს მინაწერები და სხვა;

დ) საბიბლიოთეკო სივრცეში ყოფნის დროს გაუფრთხილდეს პირად ქონებას (მათ შორის ძვირფას ნივთს, ჩანთას, მობილურ ტელეფონს), არ დატოვოს უმეთვალყურეოდ (წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთის დაკარგვისას ბიბლიოთეკას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა).

3. **ბიბლიოთეკის მომხმარებელს/მკითხველს ეკრძალება:**

ა) საბიბლიოთეკო დოკუმენტზე (ერთეულზე) აღნიშვნების გაკეთება, გადაკეცვა, ფურცლის ამოხევა ან სხვაგვარი დაზიანება ან საბიბლიოთეკო მასალების ბიბლიოთეკიდან ან სამკითხველო დარბაზიდან გატანა, ბიბლიოთეკის უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე;

ბ) წიგნის, გაზეთის, ჟურნალისა და სხვა ნაბეჭდი ერთეულების ბიბლიოთეკის შენობაში შემოტანა;

გ) საბიბლიოთეკო სივრცეში ნებისმიერი სახის იარაღის, მათ შორის: ფეთქებადი ნივთიერებების, მჭრელი და ბასრი იარაღების, ნივთების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ვიდეო კამერების, სასმელების, საკვები პროდუქტების შემოტანა (დაშვებულია მხოლოდ წყლიანი გამჭვირვალე ბოთლის შემოტანა);

დ) კატალოგებიდან და კარტოთეკებიდან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების, ბარათების ამოღება;

ე) ბიბლიოთეკის სივრცეში თამბაქოს (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები, პაპიროსები, სიგარები და სიგარილები, საჩიბუხე თამბაქო, შესახვევი თუთუნი), ასევე ელექტრონული სიგარეტის მოწევა;.

ვ) სამკითხველო დარბაზებში მობილური ტელეფონით სარგებლობა;

4. ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისას **მომხმარებლისათვის დაშვებულია:**

ა) ტექსტების შექმნა და რედაქტირება;
ბ) ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
გ) ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
დ) CD დისკების გამოყენება, ბიბლიოთეკართან შეთანხმებით;
ე) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
ვ) უნივერსიტეტის ვებგვერდითა და სხვა შემეცნებითი ან საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობა;
ზ) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

5. მომხმარებელს შეუძლია ფონდში არსებული ელექტრონული ვიდეო, აუდიო და ტექსტური მასალებით სარგებლობა (დაშვებულია ამ მასალის ასლის გადაღება, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით).

მუხლი 6. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ვადა

1. აბონემენტით მომსახურებისას არ შეიძლება ერთ მკითხველზე დროის ერთ პერიოდში გაცემული იქნას **5 - ზე მეტი საბიბლიოთეკო ერთეული.**
2. საბიბლიოთეკო დოკუმენტის გაცემის ვადა დამოკიდებულია ბიბლიოთეკაში არსებული მასალის ეგზემპლარების რაოდენობაზე, კერძოდ, საბიბლიოთეკო დოკუმენტი შეიძლება გაიცეს:
ა) 30-ზე მეტი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში - 6 თვის ვადით;
ბ) 21 – 30 ეგზემპლარის შემთხვევაში - არაუმეტეს ორი თვის ვადით;
გ) 11 – 20 ეგზემპლარის შემთხვევაში - ორი კვირის ვადით;
დ) 10 და ნაკლები ეგზემპლარის შემთხვევაში – არაუმეტეს ერთი კვირის ვადით.

3. მკითხველი უფლებამოსილია ითხოვოს პირველად განსაზღვრული ვადის გაგრძელება (თუკი ამ მასალაზე ხშირი მოთხოვნა არ არის). საბიბლიოთეკო ერთეულის სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

მუხლი 7. ბიბლიოთეკის პერსონალის და მომხმარებლის პასუხისმგებლობა

1. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს მომხმარებლის რეგისტრაციას ან გასცემს ერთეულს დარბაზში სამუშაოდ ან აბონემენტით მომსახურებისას, ვალდებულია:

ა) გააცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი მომხმარებელს;

ბ) მომხმარებელთან ერთად შეამოწმოს გასაცემი ერთეულის ვარგისიანობა და გააფრთხილოს მომხმარებელი ამ ერთეულის იმავე მდგომარეობით დაბრუნების თაობაზე;

გ) ბიბლიოთეკის მომხმარებლის თანდასწრებით შეავსოს მომხმარებლის ბარათი, სრულად ასახოს საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და დაბრუნების შესახებ ინფორმაცია.

2. ბიბლიოთეკის სივრცეში ყოფნისას მკითხველი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე წესი და ბიბლიოთეკის თანამშრომლის მითითება. ბიბლიოთეკარის მიერ მომხმარებლის ორჯერ უშედეგო გაფრთხილების შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული ბიბლიოთეკაში ერთ წლამდე ვადით (ბიბლიოთეკარი ადგენს შესაბამის აქტს და ბიბლიოთეკის დირექტორის ვიზირებით წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მათი კომპეტენციის შესაბამისად).

3. საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაკარგვის ან უხეში დაზიანების შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია წარმოადგინოს იგივე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი ან ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, სხვა დასახელების ერთეული, სხვა შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია საბიბლიოთეკო ერთეულის სარგებლობის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 30 დღისა, ბსუ–ს ანგარიშზე მითითებული ვადაში (არაუმეტეს 30 დღე) შეიტანოს ამ საბიბლიოთეკო ერთეულის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხა. აღნიშნული ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით მომხმარებელს შესაძლოა დაკარგული/დაზიანებული საბიბლიოთეკო ერთეულის საბაზრო ღირებულებასთან ერთად დაეკისროს დამატებით არაუმეტეს 50 ლარის გადახდის ვალდებულება (შემდეგში - ჯარიმა). აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა მომხმარებლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველია.

4. დაკარგული ან დაზიანებული საბიბლიოთეკო ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებლის (ბსუ-ს დასაქმებული, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი) ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობისას წარმოშობილი ვალდებულების შესახებ ბიბლიოთეკის უფლებამოსილი დასაქმებული შესაბამის ინფორმაციას აღნიშნავს ე.წ. „შემოვლის ბარათში“ (ელექტრონულად, ბსუ-ს

პორტალის მეშვეობით, თუკი მომხმარებელი რეგისტრირებულია პორტალზე - www.portal.bsu.edu.ge):

ა) დასაქმებულის შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე, საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ბ) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში - სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტისას/სხვა სასწავლებელში გადასვლისას ან პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომის/სერტიფიკატის/ცნობის/მოწმობის გაცემისას ან პირადი საქმის მასალების გატანის შესახებ მოთხოვნის წარმოდგენის შემდეგ.